განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შესახებ


ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ვახტანგ ბოკველიშვილი

წევრი: ეკა ბარათაშვილი


ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------ 1

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------------------

დაწესებულების სახელწოდება: შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: კერძო სამართლის იურიდიული პირი - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო კოდი: 406250140
სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

☒ არაგეგმიური

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|
| ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი | 80 | 0 | 0 |
| ბუღალტრული აღრიცხვა | 40 | 0 | 0 |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..................
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ..................

(თბილისი, 2019)

## IV. საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 12 სექტემბრის N816 ბრძანების საფუძველზე, განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგის ვიზიტი 18 სექტემბერს შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივ კოლეჯში, მისამართზე ქ. თბილისი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარე ნაკვეთი N 1/40. ვიზიტის საფუძველი გახლდათ დაწესებულების ფართის ცვლილება. დაწესებულება გეგმავს ახალ მისამართზე ორი ავტორიზებული პროგრამის განხორციელებას. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის N 7 გადაწყვეტილებით დაწესებულებას მიენიჭა ავტორიზაცია და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განესაზღვრა 80 ით, ხოლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვა" – 40 ით. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-7 მუხლით გათვალისწინებულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება

დღის წესრიგის შესაბამისად, განხორციელდა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან შეხვედრა და გასაუბრება. დოკუმენტაციის შემოწმება მატერიალური სტანდარტის კუთხით. შენობის დათვალიერება/აღწერა; პროგრამების განსახორციელებლად საჭირო გარემოების და შესაბამისი აღჭურვილობის ფაქტობრივი მდგომარეობის და ფლობის დოკუმენტაციის შემოწმება; ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმებისა და ინვენტარის, წესრიგის დაცვის მექანიზმების. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმების შემოწმება; ბიბლიოთეკის ფონდის შემოწმება. გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის გადამოწმება. სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების შემოწმება. ვიზიტის დასასრულს, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაჯამა გაწეული მუშაობის შედეგები და ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულების წინაშე წარადგინა ვიზიტისას გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

*[თბილისი, 2019]*

## V. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი | | მუხლი 7 | ■ | |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | მუხლი 7 / პუნქტი ა) | ■ | |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ.მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის შესაბამისი [illegible] [illegible] 100 პროფესიული [illegible] კონტინგენტით დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ | მუხლი 7 / პუნქტი ა.ა) | ■ | |
| 2.1.2 | სათავსი, ინვენტარი, აღჭურვილი სასწავლო ფართი | მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ) | ■ | |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები. | მუხლი 7 / პუნქტი ბ) | ■ | |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი, როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული, შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას. | მუხლი 7 / პუნქტი გ) | ■ | |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში. | მუხლი 7 / პუნქტი დ) | ■ | |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. | მუხლი 7 / პუნქტი ე) | ■ | |
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | მუხლი 7 / პუნქტი ვ) | ■ | |
| 2.6.1 | [illegible] უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა) | ■ | |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ) | ■ | |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. | მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ) | ■ | |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ) | ■ | |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. | მუხლი 7 / პუნქტი ზ) | ■ | |

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ..........

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ..........

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან კავშირში მყოფი სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვა [illegible] | მუხლი 7 / პუნქტი თ) | ■ | □ |
| 2.9 | შემუშავებულია და წესდებულად [illegible] გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7 / პუნქტი ი) | ■ | □ |

VI. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

დაწესებულებას ჯერ არ დაუწყია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება შესაბამისად. საუკეთესო გამოცდილებაზე საუბარი ნაადრევია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ---------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ---------------

VII. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

VIII. რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა ----------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------------------------

თბილისი, .01

## 2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:

ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
შპს საერთაშორისო აკადემია გუმბ-მერიდიანთან (ს/კ [redacted]) 2019 წლის 11 ივლისს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების თანახმად, დაწესებულებას დროებით სარგებლობაში აქვს ქ. თბილისი, გლდანის საცხოვრებელი რაიონის I კვარტლის მიმდებარედ (ნაკვეთი N 1 40) მდებარე შენობის მე-5 სართული, 465.347 კვ.მ. ფართი საკადასტრო კოდი [redacted]
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

| № | მისამართი | კვ.მ |
|---|---|---|
| 1 | ქ. თბილისი, გლდანის საცხოვრებელი რაიონი, I კვარტლის მიმდებარედ, ნაკვეთი N 1 40 (მეხუთე სართული) | 465.347 |

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
იჯარის ხელშეკრულებით;
საჯარო რეესტრის ამონაწერით
მიღება-ჩაბარების აქტით

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა

*[თბილისი, 2019]*

[redacted]

[redacted]

ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას ქ. თბილისში, გლდანის საცხოვრებელი რაიონის I კვარტლის მიმდებარედ, ნაკვეთი N 1/40-ში მდებარე ფართზე აქვს სამი A ტიპის (ორი ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის და ერთიც ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის) და ერთი B ტიპის სასწავლო გარემო. თითოეული გათვლილია 20 პროფესიულ სტუდენტზე. გარემოები აღჭურვილია სასწავლო ინვენტარით, კომპიუტერებით, პროექტორებით, აუდიო ტექნიკით, დაფით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობით. B გარემოში განთავსებულ კომპიუტერებში ჩატვირთულია პროგრამა ორისი.
იჯარის ხელშეკრულების პირობების თანახმად, მოიჯარეს - შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯს შეუძლია ისარგებლოს იჯარის ობიექტის ეზოთი, მთავარი შესასვლელით, ლიფტით, კიბეებითა და გათბობის ქვაბით
ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებას გააჩნია რესურსი აღნიშნულ მისამართზე განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების 120 პროფესიული სტუდენტის („ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი" - 80, „ბუღალტრული აღრიცხვა" - 40) სწავლება ორ ცვლაში.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
იჯარის ხელშეკრულებით,
მიღება-ჩაბარების აქტით,
ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო.
ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში არსებობს ელექტროენერგიის უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და ცენტრალური გათბობის სისტემა. ვინაიდან შენობაში მოქმედებს მრიცხველთა ერთიანი სისტემა, იჯარის ხელშეკრულების პირობების თანახმად, ყოველთვიური და კომუნალური გადასახადები გადაიხდება შემდეგი პროცენტული განაწილებით: შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი - სრული კომუნალური გადასახადის 20%, შპს საერთაშორისო აკადემია გუმა-მერიდიანი - სრული კომუნალური გადასახადის 80%.
დაწესებულებაში არის სველი წერტილები ქალებისთვის და მამაკაცებისთვის, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ასევე, კოლეჯში არის ადაპტირებული სველი წერტილი შშმ პირთათვის.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
იჯარის ხელშეკრულება.
შენობა - ნაგებობის აზომვითი ნახაზით;
ფაქტობრივი მდგომარეობით.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც მოიცავს ბიბლიოთეკაში გაწევრიანების პირობებს, ბიბლიოთეკიდან წიგნების გატანისა და დაბრუნების წესებსა და ვადებს, მკითხველთა უფლებებსა და ვალდებულებებს, ბიბლიოთეკაში ქცევის ნორმებს. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. აქვე განთავსებულია ბიბლიოთეკარისა და პროფესიული სტუდენტებისთვის განკუთვნილია ორი კომპიუტერი და ერთი კომბაინი. კოლეჯის ბიბლიოთეკას ემსახურება ბიბლიოთეკარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------------

/თბილისი, 201[illegible]

ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული ფონდი შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების („ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი“, „ბუღალტრული აღრიცხვა“) სასწავლო კურსების მოდულებში მითითებულ ლიტერატურას და დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით.

ექსპერტთა მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან, შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
ბიბლიოთეკით სარგებლობის წესით,
სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;
ვიზუალური დათვალიერებით

შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში ასევე დაწესებულების მართვაში

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება როგორც საგანმანათლებლო საქმიანობაში ასევე დაწესებულების მართვაში 14 კომპიუტერი გამოიყენება პერსონალის მიერ, ხოლო 24 - პროფესიული სტუდენტების მიერ. დაწესებულება ასევე ფლობს 7 კომბაინს, საიდანაც 3 გამოიყენება ადმინისტრაციული მიზნებისთვის, ხოლო 4 - სასწავლო გარემოში გარდა ზემოთჩამოთვლილისა. დაწესებულების მფლობელობაშია 4 პროექტორი, აუდიო აღჭურვილობის 4 ერთეული და 1 გენერატორი უწყვეტი ელექტროენერგიის მიწოდების უზრუნველსაყოფად დაწესებულება უზრუნველყოფილია ინტერნეტით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

იჯარის ხელშეკრულების დანართით;

მიღება-ჩაბარების აქტით;

ხელშეკრულებით ინტერნეტ-მომსახურების შესახებ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა ----------------



(თბილისი, 2019)

ინტერვიურებით:

ვიზუალური დათვალიერებით).

შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

დაწესებულებას გააჩნია საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს დაწესებულების კორესპოდენციების აღრიცხვა·

მმართველობითი დოკუმენტები (ინდექსი 01),

გასული დოკუმენტაცია - წერილები (ინდექსი 02), ცნობები (ინდექსი 03),

შემოსული დოკუმენტაცია - წერილები (ინდექსი 04), განცხადებები (ინდექსი 05);

ოქმები (ინდექსი 06);

შრომითი ხელშეკრულებები (ინდექსი 07);

მომსახურების/ურთიერთშეთანხმების ხელშეკრულებები (ინდექსი 08);

სასწავლო ხელშეკრულებები სტუდენტებთან (ინდექსი 09);

მემორანდუმები (ინდექსი 010),

დაწესებულების მიერ გაცემული მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის - დიპლომის რეგისტრაციის წესი (ინდექსი 011)

სასწავლო დაწესებულება, იქედან გამომდინარე, ჯერ არ ჰყავს პროფესიული სტუდენტი, არ აწარმოებს სასწავლო ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალს და დაწესებულების მიერ გაცემული მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის რეგისტრაციის ჟურნალს ორივე მათგანი ფიზიკურად მოიპოვება დაწესებულებაში

გასული დოკუმენტაციის, კერძოდ გასული წერილების სარეგისტრაციო ჟურნალში განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 18.07.2019 თარიღით გაგზავნილი წერილი აღნიშნულია ინდექსით 02/16, სასწავლო დაწესებულებაში არსებული წერილის ასლზე ტექსტის შინაარსი და ნარატივი იგივდება ცენტრში გაგზავნილ წერილთან, თუმცა ამ უკანასკნელზე სარეგისტრაციო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: --------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: --------------

*თბილისი, 2019*

ნომრად მითითებულია ინდექსი 02/20 დაწესებულების განმარტებით, აღნიშნული შემთხვევა არის ტექნიკური შეცდომა.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გარდა ამ ერთი შემთხვევისა, სასწავლო დაწესებულებაში არსებული საქმისწარმოების ერთიანი წესი დაცულია და სარეგისტრაციო ჟურნალებში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა მოთხოვნის შესაბამისად

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
საქმისწარმოების წესით;
ჟურნალებით და კორესპონდენციით.

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს.
ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი,
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებაში არსებობს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების დაცვის შემუშავებულია შესაბამისი მექანიზმები და პროცედურები დერეფანში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და მანიშნებელი ნიშნები. ვიზუალური გადამოწმებით დადგინდა რომ ცეცხლმაქრები დამუხტულია და ვადიანია. კოლეჯის შენობაში განთავსებულია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს ექთანი სამედიცინო კაბინეტის სტრუქტურული ერთეული გარდა ექთნისა, მოიცავს აგრეთვე სამედიცინო კაბინეტის სპეციალისტის პოზიციასაც, რომელიც ექვემდებარება ექთანს და მოქმედებს მისი მითითებების შესაბამისად. სამედიცინო კაბინეტში არსებული მედიკამენტები ინახება დაცულ კარადაში, შესაბამის პირობებში. მათი ვარგისიანობის ვადა მუდმივად კონტროლდება და აღირიცხება სამედიცინო კაბინეტში არსებულ მედიკამენტების ჟურნალში. სამედიცინო კაბინეტში



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ----------------

არსებულ მედიკამენტებთან წვდომა აქვთ მხოლოდ ექთანსა და სპეციალისტს. კოლეჯს გაწერილი აქვს წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები და გამოყოფილი ჰყავს მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)
სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმით;
წესრიგის დაცვისა და ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების მექანიზმებით,
ვიზუალური დათვალიერებით.

შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის. შენობის ფასადის მხრიდან დამონტაჟებულია პანდუსი შშმ პირებს, პანდუსისა და ლიფტის საშუალებით, ექნებათ წვდომა ადმინისტრაციის ოთახებთან ბიბლიოთეკასთან და აუდიტორიებთან ასევე ადაპტირებულია სველი წერტილი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური სახელურით.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
ვიზუალური დათვალიერებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: ------------

შეფასება.

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.**

დაწესებულებას აქვს ვებ-გვერდი www.avicenna.edu.ge, რომელზეც განთავსებულია დაწესებულების მისია, კატალოგი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, კოლეჯის მარეგულირებელი აქტები, ელექტრონული ბიბლიოთეკა, კოლეჯის სტრუქტურა, სამოქმედო (სტრატეგიული და ერთწლიანი) გეგმები, საკონტაქტო ინფორმაცია და ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის შესახებ. ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფმა დააფიქსირა, რომ ვებ-გვერდზე არ იყო მოცემული ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი მასწავლებლების თაობაზე. ამის შესახებ ადგილზევე ეცნობათ დაწესებულების წარმომადგენლებს და მათაც ვიზიტის პერიოდში გამოასწორეს აღნიშნული ხარვეზი.

ვებ-გვერდი ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე რომ დაცულია ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების შესაძლებლობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):
ვებ-გვერდით www.avicenna.edu.ge.
შეფასება:

☑ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს

14

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა.
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა:

*(თბილისი, 2019)*

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს გრძელვადიანი (სტრატეგიული) ექვსწლიანი და 2019 წლის სამოქმედო გეგმები გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს, სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, შესრულების ინდიკატორები, პასუხისმგებელი სტრუქტურები და ვადები სამოქმედო გეგმაში გაწერილია მიზნები, აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ინდიკატორები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები)·
სამოქმედო და სტრატეგიული გეგმებით

შეფასება:

☑ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართები ჩაბარდა დასკვნის პროექტთან ერთად

თარიღი: 25 09.2019

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა·